


# ხობის მოამბე

№11 (7106) 15 ნოემბერი,
ხუთშაბათი, 2018 წელი.
ფასი 0,70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

## „დარწმუნებული ვარ არჩევანს გავაკეთებთ ჩვენი ხალხის კეთილდღეობის, თავისუფლების, ღირსების დასაცავად".



### ბიძინა ივანიშვილი: მინდა, მივმართო ჩემს ხალხს!

* * *

მინდა, მივმართო იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც მაკისრია თქვენს წინაშე!

* * *

პირველ რიგში, მადლობა მათ, ვინც კიდევ ერთხელ გამოგვიცხადეთ ნდობა, მადლობა იმ ადამიანებს, ვისაც ბევრი პრობლემის მიუხედავად, სჯერა ჩვენი არჩეული გზის!

* * *

მაგრამ დღეს, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია მივმართო მათ, ვინც გულგატეხილია.

* * *

მინდა გითხრათ, რომ მე კარგად მესმის თქვენი! მესმის თქვენი გულისტკივილის და იმედგაცრუების.

* * *

მესმის, რომ უკმაყოფილოები ხართ, რადგან მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესდა თქვენი ყოფა.

* * *

მესმის, რომ უკმაყოფილოები ხართ, რადგან ფიქრობთ, რომ ზოგიერთი მოხელე ხალხზე ზრუნვაზე მეტად, პირად კეთილდღეობაზე ზრუნავს.

* * *

უკმაყოფილოები ხართ, რადგან ფიქრობთ, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა სამართლიანობის აღდგენა.

* * *

ბევრი თქვენთაგანი გაბრაზებულია, რადგან დასაშვები გავხადეთ მოძალადე რეჟიმის დაბრუნების საფრთხე.

* * *

დღეს არ ვაპირებ ვისაუბრო არც იმ 9-წლიან რეჟიმზე, რომელმაც ფეხქვეშ გათელა ყველა უფლება, ყველა ღირსება და ეს ბევრმა თქვენთაგანმა საკუთარ თავზე და ოჯახზე იწვნია.

და არც ჩვენს მიღწევებზე.

* * *

დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი სამშობლო ისევ ისტორიულ გზაგასაყართან დგას–არსებობს მცდარი გადაწყვეტილების მიღების მაღალი რისკი, მაგრამ, ამავე დროს, ეს არის ახალი შესაძლებლობების, განახლების საუკეთესო მომენტი.

* * *

რამდენიმე თვის წინ მომიწია პოლიტიკაში დაბრუნება. მომიწია, რადგან ვხედავდი, რომ პრობლემები ღრმავდებოდა და მათზე რეაგირების ეფექტური მექანიზმი არ არსებობდა. თუმცა აღმოჩნდა, რომ ხალხი კიდევ უფრო ღრმად და ნათლად ხედავდა ამ პრობლემებს. დღეს არ შემიძლია არ დაგეთანხმოთ.

* * *

თუმცა ერთი რამ ყველას უნდა გვახსოვდეს!

ჩვენი მოწინააღმდეგე არ არის პოლიტიკური პარტია. დღეს ჩვენს პირისპირ, სამწუხაროდ, ისევ რევანშისთვის გაერთიანებული მოძალადეები დგანან. ჩვენ ვდგავართ განსაცდელის წინაშე და ეს განსაცდელი ჩვენ დავუშვით.

* * *

როცა ხელისუფლება შორდება ხალხს, ის კარგავს ხალხის ნდობას და ახლა მინდა ვთქვა ყველას გასაგონად:

ჩვენი პოლიტიკური გაერთიანება არსებობს მხოლოდ ხალხის მსახურებისთვის. არავინ იფიქროს, რომ პარტიას რაიმე თავისთავადი ღირებულება გააჩნია. იგი არის საშუალება, რომლითაც უნდა მივაღწიოთ უზენაეს მიზანს–ხალხის უკეთეს მომავალს. ამიტომაც, თუ „ქართული ოცნება" ვერ მუშაობს, თუ მისმა რომელიმე შტომ ხალხის მსახურებაში არ ივარგა, მე პირველი წავალ მათ წინააღმდეგ.

მაგრამ არ შეიძლება მივცეთ საშუალება ამ შეცდომებით ისარგებლოს ძალამ, რომელსაც სინამდვილეში ყველა იმ ღირებულების მოსპობა სურს, რომელიც ასე ძვირფასია ჩვენთვის. ამ შეცდომებს სწორი დანახვა და კრიტიკა უნდა. ოპონენტები კი, სრული სიმძლავრით ჩართული სიცრუის მანქანით ცდილობენ ყველაფრის გადახაზვას. მათ შეცდომების გასწორება არ სურთ! მათ ყველაფრის დანგრევა უნდათ და, რაც ყველაზე სამწუხაროა, ნებისმიერ ფასად!

»»»»»»»»»» 2 გვ.

## ამონარიდი ირაკლი (დაჩი) ბერაიას გამოსვლიდან



„მინდა გამოვეხმაურო 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებს. მე ვხელმძღვანელობდი ხობის მუნიციპალიტეტის საარჩევნო შტაბს, „ქართული ოცნების" მხარდაჭერილმა კანდიდატმა აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა. ამისთვის მინდა მადლობა გადავუხადო კოორდინატორებს, უბნისა და ზონის უფროსებს, როგორც ხელმძღვანელი მადლობას ვუხდი მთელს შტაბს, ასევე მინდა უდიდესი მადლიერება და პატივისცემა გამოვხატო იმ ამომრჩევლების მიმართ, რომლებმაც ჩემს მუნიციპალიტეტში ნდობა გამოგვიცხადეს და მხარი დაგვიჭირეს, რაც არჩევნების შედეგებში აშკარა უპირატესობით გამოიხატა."

## ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრი ნუგზარ წურწუმია მსოფლიო ჩემპიონია




რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე, საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრმა, ნუგზარ წურწუმიამ (55 კილოგრამ წონითი კატეგორია) წარმატებას მიაღწია.

როგორც ხობის მუნიციპალიტეტის მერიიდან გვაცნობეს, ხობელმა ფალავანმა ფინალურ შეხვედრაში, რუსეთის წარმომადგენელი ვიტალი კაბალოევი 3:2 დაამარცხა და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა.

აღსანიშნავია, რომ კულტურის სახლის მცირე დარბაზში მოწყობილ დიდ ეკრანზე ნუგზარ წურწუმიას ჭიდაობას მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია ხობელ გულშემატკივრებთან ერთად ადევნებდა თვალს.

ხობის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ულოცავს ხობელ ფალავანს საერთაშორისო ასპარეზზე მოპოვებულ ამ დიდ წარმატებას.

# დაიჯესტი

## „დარწმუნებული ვარ არჩევანს გავაკეთებთ ჩვენი ხალხის კეთილდღეობის, თავისუფლების, ღირსების დასაცავად“

1 <<<<<<<<<<<<<<<<

ოპონენტები მხოლოდ ტყუილზე დაფუძნებულ კამპანიას ატარებენ. ხალხს ურცხვად პირდებიან იმას, რაც საპარლამენტო წყობაში საპრეზიდენტო უფლებამოსილებას სრულად ცდება და, ამავე დროს, ღიად გვიანონსებენ ადამიანის წამებასა და ჩაგვრაში ბრალდებულების გათავისუფლებას, რაც საზოგადოების შეურაცხყოფის გარდა, პირდაპირ დესტაბილიზაციის საფრთხის მატარებელია.

* * *

2012 წელს ჩვენ მოვიშორეთ ძალადობაზე დაფუძნებული რეჟიმი. გავიარეთ ურთულესი პერიოდი და თან ვცდილობდით, ქვეყანა სტაბილური განვითარების რელსებზე გადაგვეყვანა. ამ გზაზე ბევრ მნიშვნელოვან წარმატებასაც მივაღწიეთ:

* * *

სახელმწიფო რეკეტისგან გათავისუფლდა ბიზნესი, თავისუფალია მედია, განხორციელდა არაერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური პროგრამა, ურთულეს ეკონომიკურ გარემოში მოვიპოვეთ რეგიონალური ლიდერობა და მრავალი სხვა.

* * *

საერთაშორისო ასპარეზზე, ჩვენი ამერიკელი და ევროპელი მეგობრები სულ უფრო რეალურ პერსპექტივაში განიხილავენ ჩვენი ქვეყნის ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრირებას.

უამრავი რისკის მიუხედავად, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოს არასდროს ჰქონია ასეთი სტაბილური განვითარების წლები.

* * *

და მიუხედავად ამ წარმატებებისა, ქვეყანაში მთავარ გამოწვევად რჩება არსებული სიდუხჭირე. შესაბამისად, ჩვენ გვჭირდება გადამწყვეტი ცვლილებები, პირველ რიგში, სოციალურად ყველაზე მგრძნობიარე ჯგუფებისთვის. ბევრი პოპულისტისგან განსხვავებით, ბუნებრივია, არ ვისაუბრებ კონკრეტულ ციფრებზე, მაგრამ აუცილებლად ვიტყვი, რომ პენსიონერებისა და დევნილების შემწეობები და დახმარებები რადიკალურად უნდა გადაიხედოს! მათზე ზრუნვა ჩვენი ღირსების საქმეა და ჩვენ ეს უნდა შევძლოთ!

* * *

სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს საკადრო პოლიტიკა, რომელიც დაეფუძნება გამოცდილ ადამიანებს და მუდმივად მოიზიდავს ახალ კადრებს, განსაკუთრებით, ახალგაზრდებს. ახალგაზრდები უნდა ჩაერთონ ქვეყნის მართვასა და პოლიტიკის შემუშავებაში!

* * *

ჩემო მეგობრებო, ქვეყნის ცხოვრებაში დგება ხოლმე გარდამტეხი მომენტები, როდესაც ხალხი ხდება ეპოქალური ცვლილებების ავტორი და ჩვენ ერს ასეთი სიბრძნე არაერთხელ გამოუჩენია.

* * *

მინდა, მივმართო „ქართული ოცნების“ ძველ გვარდიას, მათ, ვინც შეუძლებელი შეძლეს 2012 წლის იმ ისტორიულ დღეებში: საქართველოს კიდევ ერთხელ დასჭირდა თქვენი ერთგულება და გამოცდილება, თქვენი სამოქალაქო გმირობა. მე ვიცი თქვენი გულისტკივილი, მე ვიცი თქვენი გაბრაზების ყველა მიზეზი. გაძლევთ პირობას, რომ ყველა პატრიოტი იპოვის საკუთარ ადგილს თავისი დამსახურების მიხედვით ჩვენს ერთიან ოჯახში, არავის ღვაწლი არ დარჩება უყურადღებოდ!

* * *

მინდა შეგახსენოთ, რაც არჩევნებამდეც განვაცხადე - მე ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ ერთ წელიწადში გავასწორო მართვის ყველა ხარვეზი და მთელი ჩემი რესურსი გამოვიყენო, რომ ქვეყნის განვითარება შეუქცევადი გახდეს.

* * *

მთავარია, ახლა ხელისუფლებაზე და ცალკეულ ჩინოვნიკებზე გაბრაზებულებმა, ხელისუფლების დასჯის სურვილით, საკუთარი მომავალი და საკუთარი ქვეყანა არ დავსაჯოთ და არ გადავყაროთ წყალში ყველაფერი, რაშიც სიცოცხლე ჩავდეთ 2012-ში.

* * *

მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ არჩევანს გავაკეთებთ ჩვენი ხალხის კეთილდღეობის, თავისუფლების, ღირსების დასაცავად და ერთად შევძლებთ ადამიანზე ორიენტირებული, თანამედროვე საქართველოს შენებას!

## სოციალურად დაუცველი 16 წლამდე მოზარდები და ოჯახები, სადაც ბავშვები იზრდებიან, მიიღებენ ხუთჯერ მეტ დახმარებას



სოციალურად დაუცველი 16 წლამდე მოზარდები და ოჯახები, სადაც ბავშვები იზრდებიან, მიიღებენ ხუთჯერ მეტ დახმარებას. 50 ლარამდე ავწევთ ამ სოციალურ მხარდაჭერას,–ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა **მამუკა ბახტაძემ** მთავრობის სხდომამდე გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, აღნიშნული ინიციატივა შეეხება 140 000-მდე სოციალურად დაუცველ ბავშვს. როგორც **მამუკა ბახტაძემ** აღნიშნა, აღნიშნული ინიციატივა მომავალი წლის ბიუჯეტში იქნება ასახული.

„ჩვენი პოლიტიკური გუნდის მთავარი პრიორიტეტი მუდამ იყო ადამიანი, როგორც მთავარი ფასეულობა. ჩვენი ხელისუფლების პირობებში მოხდა სწორედ ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებები სოციალური პოლიტიკის თვალსაზრისით. მათ შორის ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით. აქ, პირველ რიგში, საყოველთაო ჯანდაცვის და დაზღვევის სისტემა მინდა გამოვყო, მაგრამ რაც შეეხება ჩვენი სოციალური დაცვის პოლიტიკას, ამ ნაწილში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ გვექნებოდა მნიშვნელოვანი ცვლილებები.

დღეს საქართველოში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრია ისეთი ბავშვი, რომელსაც სახელმწიფოსგან განსაკუთრებული ყურადღება და ზრუნვა სჭირდება. ჩვენ მთლიანად ვაცნობიერებთ პასუხისმგებლობას, რომ ბავშვთა სოციალური დაცვის თვალსაზრისით დღემდე არსებული სისტემა არის შესაცვლელი და იუნისეფის რეკომენდაციებზე დაყრდნობით შევიმუშავეთ ახალი სისტემა. შესაბამისად, ის იქნება ასახული უკვე მომავალი წლის ბიუჯეტში. სოციალურად დაუცველი 16 წლამდე მოზარდები და ოჯახები, სადაც ბავშვები იზრდებიან, მიიღებენ ხუთჯერ მეტ დახმარებას. 50 ლარამდე ავწევთ ამ სოციალურ მხარდაჭერას, შესაბამისად აღნიშნული ინიციატივა შეეხება ჩვენს 140 ათასამდე ბავშვს. ჩვენ აქტიურად გავაგრძელებთ ამ მიმართულებით მუშაობას და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ბავშვები ყველაზე მეტად იყვნენ დაცული ჩვენს საზოგადოებაში, მათ ჰქონდეთ განვითარების თანაბარი და ღირსეული პირობები. აღნიშნული ინიციატივა შეთანხმებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან.

## სოციალურად დაუცველებს მუშაობის დაწყების შემთხვევაში დახმარება არ შეუწყდებათ



**ამის შესახებ, დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ ჟურნალისტებთან მთავრობის ადმინისტრაციაში განაცხადა.**

მისი თქმით, შესაბამის დადგენილებას მთავრობა უახლოეს მომავალში მიიღებს.

„თუ ადამიანი იღებდა სოციალურ დახმარებას, დაიწყო მუშაობა და გაუჩნდა შემოსავალი, პროგრამა აფიქსირებდა ამ შემოსავალს და მათ უწყდებოდათ სოციალური დახმარება, რაც დასაქმების და სოციალური აქტივაციის მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი ფაქტორი იყო.

მიღებულიქნა გადაწყვეტილება, ჩვენ უმოკლეს ვადაში დავამუშავებთ შესაბამის დადგენილებას, რის მიხედვითაც, თუკი ადამიანი დაიწყებს მუშაობას, მას ერთი წლის მანძილზე შეუნარჩუნდება მონეტარული სოციალური დახმარება, მეორე წლის განმავლობაში შეუნარჩუნდება არა მონეტარული პრივილეგიები, რაც აქვთ სოციალურად დაუცველებს .

ეს არის სტიმული იმისთვის, რომ ისევ დახმარებით ხელი შევუწყოთ სოციალურად დაუცველებს, რათა ღირსეული შემოსავალი მიიღონ“,–განაცხადა მინისტრმა.

## სამეგრელო ორ წელიწადში სრულად იქნება გაზიფიცირებული



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის, ნათია თურნავას ინფორმაციით, სამეგრელოს სრული გაზიფიცირების პროცესი ორ წელიწადში დასრულდება. ეს განცხადება ნათია თურნავამ სენაკის რაიონის სოფელ თეკლათში გააკეთა, სადაც მონაწილეობა მიიღო ერთ-ერთ ოჯახში ბუნებრივი აირის პირველად ანთების ტრადიციულ ცერემონიაში.

ეკონომიკის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის თქმით, სამეგრელოში ბოლო წლების განმავლობაში გაზიფიცირების კუთხით ძალიან მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა–სახელმწიფოს, კერძო კომპანიების და „სოკარის“ მონაწილეობით უკვე 4 მუნიციპალიტეტის 70 000-მდე კომლი გაზიფიცირებულია.

„თუმცა, ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო გვაქვს, არის ე.წ. გამოტოვებული სოფლები, ასევე ნაწილობრივ გაზიფიცირებული სოფლები. ეს ჩვენი პირველი რიგის პრიორიტეტია, 2019 წელს ამ თვალსაზრისით უკვე ყველაფერს დავასრულებთ და დავიწყებთ ორი დიდი მუნიციპალიტეტის გაზიფიცირებას, ესენია: წალენჯიხა და ჩხოროწყუ, სადაც მომავალ წელს მკვებავი მილი იქნება შეყვანილი“,–აღნიშნა ნათია თურნავამ. ამასთან, მისი ინფორმაციით, დღეის მონაცემებით პროექტირება უკვე დასრულებულია, 2020 წელს კი გაზიფიცირების პროცესი ამ მუნიციპალიტეტებშიც დასრულდება.

„ასე რომ, სამეგრელო, გაზიფიცირების სამუშაოების კუთხით ერთ-ერთი მსხვილი უბანი, უახლოეს ორ წელიწადში სრულად იქნება გაზიფიცირებული“,–აცხადებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე.

# ჩვენს მუნიციპალიტეტში

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

31 ოქტომბერს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელი პირები.

სხდომაზე განიხილეს დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის 59 დადგენილებაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტით პეტიციის წარმდგენ სუბიექტს მიენიჭა უფლებამოსილება პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სიის ბლანკის მოთხოვნის გარეშეც წარმოადგინოს პეტიცია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 86-ე მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით.

სხდომაზე ასევე განხილულიქნა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ შემუშავებულ იქნა ხობის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულება, რომლის საფუძველზეც საბჭო წარმოადგენს ხობის მუნიციპალიტეტის მერთან არსებულ სათათბირო ორგანოს, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს ხობის მუნიციპალიტეტში შშმ პირთა ღირსეული თანაცხოვრებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი პირობების შექმნის საკითხებს.

სხდომის დასრულების შემდეგ საკრებულოს წევრებმა ხობელ ფალავანს ნუგზარ წურწუმიას და მის მწვრთნელებს კიდევ ერთხელ მიულოცეს მსოფლიო ჩემპიონატზე ღირსეული ასპარეზობა, ბრინჯაოს მედალი და მომავალი წარმატებები უსურვეს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ამ და სხვა საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

## ხობი-საჯიჯაო-ლესიჭინეს გზის რეაბილიტაცია დაიწყო



ხობის მუნიციპალიტეტში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ხობი-საჯიჯაო-ლესიჭინეს საავტომობილო გზის 5 კილომეტრიან მონაკვეთზე, გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო.

პროცესს საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი წევრი დაჩი ბერაია და ხობის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა გაეცნენ.

პროექტის შესაბამისად ხორციელდება გზის საფარის მოწყობა ასფალტობეტონით, მოეწყობა ხელოვნური ნაგებობები, სანიაღვრე არხები და ეზოებში შესასვლელები.

პროექტი, რომლის სახელშეკრულებო ღირებულებაც 2,4 მილიონი ლარია, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი“ ახორციელებს. სარეაბილიტაციო სამუშაოები 2019 წლის 22 ივნისს დასრულდება.

## დასრულდა მუნიციპალიტეტის პირველობა მკლავჭიდში



ხობის კულტურის სახლის ფოიეში გაიმართა ხობის მუნიციპალიტეტის პირველობა მკლავჭიდში ჭაბუკთა შორის. ტურნირში 40 ახალგაზრდა სპორტსმენი 9 კილოგრამ წონით კატეგორიაში ერთმანეთს ოლიმპიური სისტემით დაუპირისპირდნენ. გამარჯვებულებსა და პრიზიორ მკლავჭიდელებს სიგელები, მედლები და თასები გადაეცათ. შეჯიბრი კულტურულ-საგანმანათლებო საზოგადოებრივი ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა.

## მაია ცქიტიშვილმა ყულევში ახლადაშენებული ობიექტი დაათვალიერა



შუა ხორგის, ქარიატის და ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია დასრულდა.

საქართველოს ვიცე-პრემიერმა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარმა წევრმა ირაკლი (დაჩი) ბერაიამ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში ახლადაშენებული ობიექტი დაათვალიერეს. ადგილობრივებს პროექტის დასრულება მიულოცეს და მოსახლეობასთან ერთად სიმბოლურად დააგემოვნეს სასმელი წყალი.

პროექტის განხორციელების შედეგად შუა ხორგის, ქარიატის და ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრებმა 2000-მდე მოსახლემ სასმელი წყალი ცენტარლური მაგისტრალიდან უკვე მიიღო. დღეიდან მოსახლეობა 24 საათიანი უწყვეტი, ხარისხიანი წყალმომარაგებით ისარგებლებს. წყალსადენი მაგისტრალის სიგრძე 34 კილომეტრია, ინფრასტრუქტურული პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა და მისმა სახელშეკრულებო ღირებულებამ 920 ათასი ლარი შეადგინა.

პროექტი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ყულევის მოსახლეობისთვის, რადგან სოფელს სასმელი წყალი არასდროს ჰქონია და წლების განმავლობაში ცისტერნების მეშვეობით მიეწოდებოდა.

ობიექტის დათვალიერების შემდეგ ვიცე-პრემიერი მაია ცქიტიშვილი და პარლამენტის მაჟორიტარი წევრი ირაკლი (დაჩი) ბერაია ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ, მათგან მოისმინეს პრობლემები, ინიციატივები და იმსჯელეს მათი გადაჭრის გზებზე.

## საქველმოქმედო ორგანიზაციის საჩუქარი ხობის მუნიციპალიტეტს



სამეგრელო ზემო-სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის ინიციატივით, „საერთაშორისო მართლმადიდებლური ქრისტიანული მოწყალების ორგანიზაციამ“ (IOCC) ხობის მუნიციპალიტეტისთვის სხვადასხვა დასახელების სამედიცინო სახარჯი მასალა და აღჭურვილობა გამოყო.

საქველმოქმედო ორგანიზაციის საჩუქარი ს.ს. სამედიცინო კორპორაცია ევექსის ხობის ჰოსპიტალს მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსმა, შოლინა კანკიამ გადასცა.

„საერთაშორისო მართლმადიდებლური ქრისტიანული მოწყალების“ მიერ გადმოცემული აღჭურვილობა სამედიცინო დაწესებულებას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაში დაეხმარება.

## ჭალადიდში სიმინდის გადამამუშავებელი საწარმო ფუნქციონირებს



ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში სიმინდის გადამამუშავებელი საწარმო ფუნქციონირებს (ინდივიდუალური მეწარმე „სერგო ბერაია“). საწარმო აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკა-დანადგარებით და მასში, 18 ადგილობრივი მცხოვრებია დასაქმებული. მიმდინარე წელს მეწარმემ 70 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე 700 ტონა სიმინდის მარცვალი მოიწია.

საწარმო ყოველწლიურად 2000 ტონა სიმინდის მარცვალს გადაამუშავებს და წარმოებული პროდუქციის (ღერღილი და ფქვილი) რეალიზაციას ადგილობრივ ბაზარზე ახდენს.

# მომავალ წარმატებათა იმედით...

ახალგაზრდობა ქვეყნის ყველაზე დიდი რესურსია, ძალა, რომლის მეშვეობითაც უნდა განხორციელდეს ის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროგრამები, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენი სახელმწიფოს შემდგომი განვითარებისათვის. ამიტომაც ახალგაზრდობის საკითხებზე საუბრისას ნამდვილად ვგრძნობთ, რომ ქვეყნის პრობლემატურ საკითხებზე ვმსჯელობთ.

ახალგაზრდული ასაკი 14-29 წლამდე პერიოდს მოიცავს, ეს არის დრო, რომელიც ადამიანის სრულფასოვანი ჩამოყალიბებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია, დრო როცა ყალიბდება პიროვნული თვისებები, ვლინდება გარკვეული მისწრაფებები, საკუთარი დამოკიდებულებები სხვადასხვა გარემოებებისადმი, ხდება პიროვნული „მე“-ს დამკვიდრებისთვის ბრძოლა.

პიროვნების ჩამოყალიბების პროცესს თან სდევს უამრავი პრობლემატური საკითხი და სწორედ ამიტომაც გვმართებს ყველა იმ ადამიანს, ვინც ახალგაზრდულ საკითხებზე მუშაობს, მეტი სიფრთხილე პროექტებისა თუ პროგრამების შექმნისას.

თანამედროვე, XXI საუკუნის ახალგაზრდების ჩამოყალიბებაზე ზრუნვა და ახალ-ახალ გამოწვევებზე პასუხის გამცემი თაობის აღზრდა სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფიქრალია. ჩვენი, დემოკრატიულ რელსებზე ჯერ კიდევ ახლადშემდგარი ქვეყნის გვერდით, ბევრი უცხო ქვეყნის ორგანიზაცია თუ გაერთიანება დგას. ერთ-ერთია ევროკავშირის ორგანიზაცია „World vision “-საქართველო, რომელიც სრულიად საქართველოს მასშტაბით ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის შესაქმნელად ზოგადად სამოქალაქო განვითარების ხელშემწყობ საქმიანობას ეწევა.

ჩვენი მუნიციპალიტეტი ამ ორგანიზაციის მიერ მომზადებული საპილოტე პროექტის მონაწილე გახდა 13 მუნიციპალიტეტს შორის და 2016 წლიდან 2018 წლის აპრილამდე მუშაობდა პროექტში სახელწოდებით–„სკოლის ახალგაზრდული ჯგუფების მხარდაჭერით მდგრადი და ეფექტური გადაწყვეტილებისთვის“, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდული სეგმენტი სხვადასხვა მიმართულებით გადამზადდა.

ჩვენი, მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის თანამშრომლები ამ პროექტში ორი წლის განმავლობაში აქტიურად ვმონაწილეობდით და არასამთავრობო ორგანიზაცია „world visio“-თან ერთად–ერთობლივი ინიციატივებით შევქმენით „პირველი მაისის ახალგაზრდული ცენტრი“, რომლის ასამუშავებლადაც მუნიციპალიტეტმა ახალგაზრდებისათვის გამოყო კეთილმოწყობილი ფართი და ინვენტარი. ინვენტარი გადაეცა ჩვენს ახალგაზრდებს „world vision”-ისგანაც და მომზადდა ახალგაზრდობა თანამედროვე ხედვებით უკეთესი მომავლის შესაქმნელად, ჩაუტარდათ ტრენინგები სამოქალაქო აქტივობებზე. ახალგაზრდულ სივრცეში ადგილობრივმა ახალგაზრდებმა ჩაატარეს სხვადასხვა სახის ღონისძიებები, მოიპოვეს გრანტები. სამოქალაქო აქტიურობა ახალგაზრდებში თანდათან განვითარდა.







მუნიციპალიტეტისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობის ფარგლებში დაიწყო მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობა, რისთვისაც მოეწყო შეხვედრები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებთან (ფოკუს ჯგუფებთან) სპეციალურად მომზადებული კითხვარებით და მოხდა ახალგაზრდების საჭიროებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების მოკვლევა.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილებამ პირველი მაისის ახალგაზრდული ცენტრის მაგალითზე ახალი ხიბულის ახალგაზრდული ცენტრის შექმნას შეუწყო ხელი, რისთვისაც მოვაწყვეთ ახალგაზრდული შეხვედრები, განხორციელებული პროექტის პრეზენტაციები.

დღეის მდგომარეობით ახალგაზრდებს ცენტრის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის სჭირდებათ ინვენტარი და ჩვენ უკვე ვაწარმოებთ მათთვის ამ ნივთების მოძიებით სამუშაოებს.

ცენტრში გაერთიანებული ახალგაზრდების სურვილის გათვალისწინებით მოეწყო ლაშქრობა ხეთის რელიგიურ-კულტურული და გეოგრაფიული ძეგლების დასათვალიერებლად. იმ დღეს ზოგმა ახალგაზრდამ პირველად შეაბიჯა ხეთის დიდებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

კულტურული მემკვიდრეობის პატრონობა და გაფრთხილება ახალგაზრდების ერთ-ერთი სულიერი მოთხოვნა უნდა იყოს და კარგი იქნება თუ ბავშვობიდანვე შევაჩვევთ მათ მუზეუმში სტუმრობას.

მოლაშქრეთა კლუბი, რომელიც უკვე რამდენიმე წელია არსებობს ჩვენთან, აგრძელებს მუშაობას. აქტიურად ვთანამშრომლობთ ჩვენი სამსახურის ძეგლთა დაცვის სპეციალისტთან და ვიწვევთ ხშირად სალაშქრო ტურებში ძეგლებზე ინფორმაციის მისაღებად. ჩვენი ახლგაზრდების აქტიურობა ცენტრების შექმნის შემდეგ უფრო თვალსაჩინო გახდა. მათი მონდომების შედეგად, მოწესრიგდა პირველი მაისის ადმინისტრაციული შენობის ეზო, სპორტული მოედანი, გაიღრმავეს თვალსაწიერი რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე ასოციაცია „ჰერა XXI“-სთან თანამშრომლობით. ჩაატარეს რამოდენიმე ტრენინგი, როგორც მოსწავლეების ასევე მასწავლებლებისა და მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით.



ხობელი ახალგაზრდების აქტიურობა ვლინდება ინტელექტუალურ-საგანმანათლებლო პროექტებში ჩართულობით. ერთ-ერთი ასეთი პროექტია „ეტალონი“.

ხობის მუნიციპალიტეტის 25 სკოლის 76 მოსწავლემ მიიღო ამ პროექტში მონაწილეობა და ქულების მაჩვენებლებით მაღალი რეიტინგი აჩვენეს. გამარჯვებული კი 91 ქულით გახდა პატარა ფოთის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე თორნიკე მოდებაძე.

ახალგაზრდულ საკითხებზე მუშაობის ფერხულში ჩაბმულია მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, სადაც უფასო წრეობრივ მუშაობას ეწევიან იქ დასაქმებული პედაგოგები. მათი ინიციტივით საინტერესო ღონისძიებები ტარდება დასავლურ-ევროპული ფასეულოების გასაცნობად და ახალგაზრდებში ისტორიული ფაქტების შესასწავლად. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო იყო პროექტი–„საბჭოთა საქარველოდან ევროპულ საქართველომდე“ (პედაგოგი ნინო გერგაია).

სათქმელი უამრავია და ვფიქრობ, ამ გაზეთის საშუალებით მომავალშიც მრავალ გაკეთებულ საქმეზე მოვუთხრობთ მკითხველებს.

***ელისო ბასილაია,***
***მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი სპეციალისტი ახალგაზრდულ საკითხებში.***

რეცენზია

# სამაგიდო წიგნი

## გოგიტა ჩიტაიას ნაშრომი „ხობის სიძველენი“




2017 წელს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის ფინანსური მხარდაჭერით სტამბა „საარმა“ გამოსცა გოგიტა ჩიტაიას მონოგრაფია „ხობის სიძველენი“ (192 გვ., რედაქტორი ანზორ სიჭინავა, რეცენზენტები–ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები ეპიფანე გვენეტაძე და რევაზ პაპუაშვილი).

ნაშრომი შედგება წინათქმის, რვა თავისა, ინგლისურ და რუსულენოვანი რეზიუმებისგან. წიგნს ერთვის დანართები, შენიშვნები, გამოყენებული წყაროები და ლიტერატურის სია.

ნაშრომი როგორც კვლევითი, ასევე საცნობარო ხასიათისაა. გვინდა აღვნიშნოთ, რომ გოგიტა ჩიტაია ხობის რაიონის მკვიდრია და არაერთი წელია მუშაობს ხობის მერიის კულტურის სამსახურის მთავარ სპეციალისტად. პარალელურად ეწევა საქმიანობას ფოთისა და ხობის ეპარქიის სიწმინდეთა მოძიებისა და ძეგლთა დაცვის ცენტრში, სადაც უკავია დირექტორის თანამდებობა. ბუნებრივია, თავის სამსახურიდან გამომდინარე, ზედმიწევნით კარგად ფლობს მონაცემებს ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე. ამიტომ წინამდებარე ნაშრომის მომზადება ყველაზე უფრო მას ხელეწიფებოდა და ლოგიკურია, კარგადაც გაართვა თავი.

წინათქმაში აღნიშნულია, რომ ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოვლენილია სხვადასხვა კატეგორიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, რომელთაგან 16 –განეკუთვნება ეკლესიას, 31-ნაეკლესიარს, 21-ციხე -კოშკსა და სხვა ხასიათის ნაგებობებს. 207-კი არქეოლოგიური ობიექტია. მთლიანობაში დაფიქსირებული და აღრიცხულია პრეისტორიული და ისტორიული ხანის 275 ძეგლი. მოცემულია თითოეული მათგანის კოორდინატები სატელიტური ხელსაწყოთი (GPS), UTM-ის საკორდინაციო ბადის გამოყენებით.

ავტორი მადლიერების გრძნობით იხსენიებს იმ სასულიერო პირებსა და მეცნიერებს, რომლებიც წიგნზე მუშაობის პროცესში გარკვეულ რჩევა-დარიგებებს აძლევდნენ.

მონოგრაფიის I თავში განხილულია ხობის მონასტრის ისტორია, მისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობა, დეტალურადაა გადმოცემული ხობის მონასტრის არქიტექტორული კომპლექსის დახასიათება (ტაძარი, სამრეკლო, გალავანი, საკათალიკოსო-სასახლისა და სხვა ნაგებობათა ნაშთები). ავტორი ამ საკითხებზე მსჯელობისას წყაროებთან ერთად უხვად იყენებს ხალხურ თქმულებებს, გადმოცემებს, მოგვიანო პერიოდის ჩანაწერებს, პერიოდულ გამოცემებში არსებულ მონაცემებს, სხვადასხვა ავტორთა ცნობებს და სხვ. იგი აქვე ეხება არაერთი ავტორის მოსაზრებას ხობის მონასტრის ტაძარში მოხატული ფრესკების დათარიღებაზე და ყურადღებას ამახვილებს ამ მონასტერთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხზე. ნაშრომში საუბარია 2008-2016 წწ ხობის მონასტრის ეზოში ეტაპობრივად მიმდინარე არქეოლოგიურ გათხრებსა და მის შედეგებზე, რომელმაც განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი მიიღო 2016 წელს, როცა სამუშაოები მიმდინარეობდა ხუთ უბანზე. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიღებულიქნა მნიშვნელოვანი შედეგები: გაირკვა, რომ ხობის მონასტრის ტერიტორიაზე ხელსაყრელი ადგილმდებარეობის გამო ცხოვრება იწყება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, ხობის თანამედროვე ტაძარი, გაცილებით დიდ ტაძარზე ყოფილა დაშენებული, ხობის მონასტერი წარმოადგენდა სამეგრელოს მთავართა–დადიანების საგვარეულო საძვალეს და ა.შ. ასევე არქეოლოგიური გათხრებით დადასტურდა, რომ ხობის მონასტრის ეზოში განვითარებული შუასაუკუნეების ხანაში და შესაძლოა უფრო ადრეც, უნდა არსებულიყო ციხე-ქალაქის ტიპის დასახლება, რომელიც როგორც გალავნის გარეთ, ისე შიდა რეზიდენცია მხარეს მოიცავდა საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას. წიგნის I თავში საუბარია ხობის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში არსებულ მარიამობა-მარაშინობის დღესასწაულზე, რა დროსაც ავტორი უხვად იყენებს XVII-XX ს-ის საწყისი პერიოდის სხვადასხვა ხასიათის წყაროებს, პერიოდულ გამოცემებში არსებულ მონაცემებს. უძველესი პერიოდიდან მოყოლებული აქვე განხილულია ხობის მონასტრის ქრონიკები.

წიგნის მომდევნო II და III თავებში აღწერილია ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესიები, ციხე-კოშკები და სხვა ნაგებობები. IV თავი ეხება ნაეკლესიარებს, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში განადგურდა ანტირელიგიური კომპანიის დროს;

მომდევნო V და VI თავები კი ეძღვნება ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საფლავის ქვებს (ძირითადად XIX და XX საუკუნის საწყისი პერიოდის), მუზეუმებსა და სახლ-მუზეუმებს.






პირადად ჩემთვის როგორც არქეოლოგისათვის განსაკუთრებით საყურადღებო გამოდგა მონოგრაფიის VII თავი, სადაც განხილულია ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური ობიექტები. ავტორს თავმოყრილი აქვს პრეისტორიული და ისტორიული ხანის შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური არტეფაქტები და ძეგლები, მოცემულია დახასიათება, კოორდინატები, რაც არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების შემთხვევაში მათ იოლად მისაგნებს ხდის. უნდა აღინიშნოს, რომ გოგიტა ჩიტაიამ ამ მონაცემების შეგროვებისთვის საკმაოდ დიდი სამუშაოები ჩაატარა. თითქმის ყველა არქეოლოგიური ობიექტი მოიარა, გაგვაცნო მათ შესახებ არსებული ადგილობრივი ტოპონიმები და ზედაპირულად შეაგროვა არქეოლოგიური მასალა. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მას რჩება ერთგვარი უკმარისობის გრძნობა, რადგან ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, მდინარე რიონსა და ხობისწყალს შორის მოქცეულ ჭაობიან ტერიტორიაზე, განსაკუთრებით რთული გამოდგა არქეოლოგიური ობიექტების შესწავლა და სრულყოფილი სურათის გადმოცემა. ავტორი არქეოლოგიური ობიექტების ჩამონათვალში ასახელებს სპეციალისტების ფართო წრისათვის ნაკლებად ცნობილ არაერთ საინტერესო პუნქტს, მათ შორის კოლხეთის ბარისთვის დამახასიათებელ ხელოვნურად გამართულ ბორცვ-ნამოსახლარებს, სადაც ზედაპირულად მოძიებული არტეფაქტების მიხედვით, წინასწარი მონაცემებით შესაძლებელი გახდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის, კლასიკურისა და უფრო მოგვიანო პერიოდების დადგენა. გამოვყოფდით ცალკეული არტეფაქტებისა და ზოგიერთი ძეგლების აღმოჩენების პუნქტებს: ბრინჯაოს სატევრები და ყუამილიანი ცულები ხობისწყლიდან. ყურადღებას იპყრობს ამ ნივთების წყალში აღმოჩენის ფაქტი;

სოფ.ნოჯიხევი „ციცას გორას“ მიმდებარე ტერიტორია–ძვ.წ. IV-III სს-ები; სოფ. ჭიხუს პლატო–წინაანტიკური ხანის მასალა და რომაული ხანის დანგრეული სამარხები;

სოფ. გურიფული, მდ. ხობისწყლის მარჯვენა სანაპირო–იმპორტული ბერძნული კერამიკის ცალკეული აღმოჩენები და ელინისტური ხანის ინვეტარიანი ქვევრსამარხი; „ოტორონჯე“;

სოფ. პირველი მაისი, ჯახუთის ციხის მიმდებარე ტერიტორია–კლასიკური ხანა; ხეთა ურთის მთის მიდამოები; ხეთა-წინაგოლა, კოლხური თეთრის გამოვლენის ფაქტები;

სოფ.ხამისკური–„მისარონფერდის ოხვამეს“ ბორცვი–ძვ.წ. V-III არტეფაქტები;

სოფ. დღვაბას „ტაბუჩას“ დიხა-გუძუბა–ადრეანტიკური ხანის მასალა და ა.შ.

მონოგრაფია გამოცემულია საკმაოდ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე. ავტორის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ დაწერილია გამართული ქართულით და იკითხება კარგად.

ნაშრომში უხვადაა ჩართული ილუსტრაციები ხობის მონასტერზე, აქ დაცულ ღვთისმშობლის კვართზე, ცალკეულ ფრესკებზე, საკურთხევლის კარნიზის ჩუქურთმებზე. მოცემულია სხვადასხვა ეტაპზე უძველესი ტაძრის განვითარების გეგმა, რაც არქეოლოგიური გათხრების მიხედვით გახდა შესაძლებელი. ილუსტრირებულია არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ძველი სასახლის ნაშთებიც, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი. ნაშრომი ასევე გამდიდრებულია ეკლესიების, ციხეების, ხელოვნურად გამართული ბორცვნამოსახლარის და ცალკეული არტეფაქტების ფერადი ფოტოებით.

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ გოგიტა ჩიტაიას ნაშრომი „ხობის სიძველენი“ კარგი შენაძენია ქართული საისტორიო მეცნიერებისა და ამ საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთათვის. ამ წიგნის გამოცემით ჩვენი ცოდნა ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პრეისტორიული და ისტორიული ხანის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ უფრო სრულყოფილი გახდა. აშკარაა, რომ წინამდებარე ნაშრომი სამაგიდო წიგნად იქცევა სიძველეებზე მომუშავე სპეციალისტებისა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის.

***ლერი ჯიბლაძე,***
*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.*

***ჟურნალი „იბერია-კოლხეთი“-№14. 2018 წელი.***

**P.S. პროფესორებს გელა გამყრელიძეს და ლერი ჯიბლაძეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის ჟურნალ „იბერია-კოლხეთში“ დაბეჭდილი რეცენზიის გამო ულრმეს მადლობას მოვახსენებ ჩემი შრომის ასეთი შეფასებისთვის.**

**გოგიტა ჩიტაია.**

# პრობლემურ საკითხებზე იმსჯელეს

სოფლის მეურნეობაში საინფორმაციო–საკონსულტაციო მომსახურება (ექსტენცია) არის პროცესი, რომელშიც მრჩეველი–ექსტენციის კონსულტანტი ცდილობს რჩევის მაძიებლის ისეთი ქმედებისთვის მოტივირებას და მასში ისეთი უნარის გამომუშავებას, რომელიც გამოადგება ამ უკანასკნელს არსებული სიტუაციის გასაუმჯობესებლად. ამ დროს რჩევის მაძიებელი უფრო უკეთ იგებს საკუთარი საჭიროებების არსს და შეიცნობს მისი მოგვარების შესაძლო ალტერნატივებს. ის ამით იღებს როგორც სტიმულს, ასევე ორიენტირს შესაძლო ქმედებების შესახებ..



ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის უმთავრესი გამოწვევაა საქართველოს სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ამაღლება ფერმერთათვის ახალი ტექნოლოგიების გაცნობისა და ცოდნის გადაცემის გზით. სწორედ ამ მიზნების რეალიზებისთვის ხობის მუნიციპალიტეტში, მიმდინარე წელს ხობის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურთან შეიქმნა და წარმატებით ფუნქციონირებს ფერმერთა საკონსულტაციო საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია მუნიციპალიტეტის წარმატებული ფერმერებით, ასევე საბჭოში მოწვეულნი არიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი პროფესიული განათლების - სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისი“-სა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებიც. საბჭო ისმენს ხობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის გაწეული მუშაობის ანგარიშს, აცნობებს მათ თავიანთ მოსაზრებებს, ამტკიცებს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას, ირჩევს მუნიციპალიტეტის ფერმერთა საბჭოს ახალ წევრებსა და რეგიონალურ ფერმერთა საბჭოში თავის წარმომადგენელს.



მიმდინარე წელს, სულ გაიმართა ფერმერთა საკონსულტაციო საბჭოს ოთხი სხდომა, მათ შორის ბოლო სხდომაზე სადაც განხილულიქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აზიური ფაროსანას წინააღმდეგ 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების შედეგები.

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **ანტონ ვარდიამ** საბჭოს წევრებს წარუდგინა სტატისტიკური მონაცემები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული წამლობების თაობაზე. (თერმული ნისლით დამუშავებულია 31380 ჰა, ცივი (წყალხსნარი) შესხურება: მაღალი გამავლობის ავტომანქანებით–6251.65 ჰა, ტრაქტორით–3874.4 ჰა) გამომსვლელმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასახული მიზანი გარემოსადმი ნაკლებად მავნე ტექნოლოგიების გამოყენების გზით აზიური ფაროსანას რიცხოვნების შემცირებისა და კონტროლის თაობაზე შესრულდა, რითაც მინიმუმამდე იქნა დაყვანილი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზიანება და მისგან გამოწვეული ეკონომიკური ზარალი.

**ა. ვარდიამ** აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად აქტიურად იყო ჩართული აზიური ფაროსანას წინააღმდეგ განსახორციელებელ ღონისძიებებში.

მოსმენილიქნა ინფორმაციები მიმდინარე წლის სიმინდის მოსავლის შესახებ, რაზედაც საბჭოს წევრებს ვრცელი ინფორმაცია წარუდგინა ფერმერმა და მეწარმემ **სერგო ბერაიამ**, რომელმაც ისაუბრა სიმინდზე, როგორც რენტაბელურ კულტურაზე და მისი მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიაზე. ასევე ისაუბრა სიმინდის მარცვლისაგან მიღებული პროდუქტების რეალიზაციის საკითხზე და ბაზარზე არსებულ არაკონკურენტულ გარემოზე. გამომსვლელმა წარმოადგინა წინადადება ფერმერთა რეგიონალურ საბჭოს განსახილველად წარედგინოს საკითხი სიმინდისაგან მიღებული პროდუქტების ტექნიკური რეგლამენტის მიღების თაობაზე.

ხობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა **ანგული მიქავამ**, რომელიც ასევე წარმოადგენს ფერმერთა საკონსულტაციო საბჭოს წევრს, დამსწრე პირებს გააცნო ინფორმაციები მიმდინარე წელს თხილის მოსავლიანობასა და თხილის ბაღებში გავრცელებული მავნებელ-დაავადებების თაობაზე. გამომსვლელმა აღნიშნა, რომ თხილის მაღალი მოსავლის მისაღებად აუცილებელია ფერმერმა თხილის ბაღი დაამუშაოს არსებული ფენოკალენდარული სქემის მიხედვით და არა საკუთარი შეხედულებით წამლობების ჯერადობის შემცირებისა და პესტიციდების ეკონომიის ხარჯზე, რომელიც საბოლოო ჯამში არაეფექტურ შედეგს იძლევა და გატარებულ ღონისძიებებზე გაწეული ხარჯები იკარგება.

გამომსვლელმა აღნიშნა, რომ ფერმერებს არა აქვთ სრულყოფილი ცოდნა და გამოცდილება ჩვენთან კულტივირებული სხვადასხვა კულტურების და მათ შორის განსაკუთრებით თხილის მოვლისა და მოყვანის საკითხებზე, ამიტომაც მნიშვნელოვანია საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების გააქტიურება, ამიტომაც რეგიონის ხელმძღვანელობის ინიციატივით დაგეგმილია ფერმერებთან „კარდაკარი“-ს პრინციპით მოეწყოს შეხვედრები, რაშიც ჩართულნი იქნებიან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მუნიციპალიტეტების საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების თანამშრომლები.

სხდომის დასასრულს, საკონსულტაციო საბჭოს წევრებმა ისაუბრეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და საკუთარ ბიზნეს-საქმიანობაში არსებული პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ. კერძოდ, **ი. ბერაიამ** აღნიშნა, რომ ბოლო წლებში, ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალმა უწყებამ შპს „საქართველოს მელიორაციამ“ მასშტაბური სამელიორაციო ინფრასტრუქტურის აღდგენითი სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაატარა და ადგილობრივ ფერმერებს ათასობით ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის დანიშნულებისამებრ გამოყენების საშუალება მიეცათ.

მიუხედავად აღნიშნულისა სახელმწიფო არხებისა (კოლექტორები) და შიდა სამეურნეო არხების (ორნატები) მოუწესრიგებლობის გამო სახნავი ფართობები მეორადად ჭაობდება და აუცილებელია გაიზარდოს სამელიორაციო სამუშაოების მოცულობა და შიდა სამეურნეო არხების (ორნატები) ამოწმენდა განხორციელდეს ბენეფიციართა თანამონაწილეობით.

**ომეხი ხარბედიამ** (რ/კ „ლაიტი“-ს თავმჯდომარე), განაცხადა, რომ სიმინდის მარცვლის გადამუშავება-რეალიზაციის ბიზნეს-საქმიანობით არის დაკავებული და წარმოების განვითარებისათვის მნიშვნელოვნად მიაჩნია სახელმწიფომ დააჩქაროს სიმინდის მარცვლის გადამუშავებით მიღებული პროდუქტების ტექნიკური რეგლამენტის მიღება, რომელიც უზრუნველყოფს სიმინდის მარცვლის წარმოების, გადამუშავების, დისტრიბუციის ეტაპებზე რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრას და ბაზარზე კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას.



**ფერიდე გოგიამ**–სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისის“ სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, განაცხადა, რომ სწავლის მსურველებს კოლეჯი, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, პროფესიების ფართო სპექტრს სთავაზობს ტურიზმის, ხელოვნების, ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის, კომპიუტინგ/ინფორმატიკის, მენეჯმენტისა და ბიზნესის (ფერმერობა მეთევზეობაში) მიმართულებით.

ანგული მიქავამ, აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია არამარტო მეთევზეობის, არამედ მემცენარეობისა და მეცხოველეობის პრიორიტეტულ ბიზნეს-მიმართულებების სპეციალობებზე ფერმერების გადამზადება.

**პ. ცხადაია**–განაცხადა, რომ ფერმერები უსახსრობის გამო ვერ ახერხებენ მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ წამლობის ღონისძიებებისა და სხვა აგროტექნოლოგიების ჩატარებას. ნელი ტემპით მიმდინარეობს ახალი ჯიშების დანერგვა. მუნიციპალიტეტში არსებული ციტრუსის ბაღების 40-60% მოუვლელი და გადაბერებულია, რაც ნაყოფის ხარისხზე აისახება და შესაბამისად სამომხმარებლო ბაზარზე ნაკლებკონკურენტუნარიანია.

**ანგული მიქავამ** აღნიშნა, რომ სასურველია სახელმწიფოს თანამონაწილეობით სამაგალითოდ შეიქმნას მეციტრუსეთა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. შედეგად მივიღებთ ბაზარზე მსხვილ მომწოდებელს, რომელსაც ექნება ხარისხიანი და კარგად შეფუთული პროდუქტი, რომლის რეალიზებაც ხელსაყრელ ფასად უკვე აღარ იქნება პრობლემური.

სხდომის დასასრულს საბჭოს წევრებმა დაადგინეს:

ეთხოვოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონალურ სამმართველოს ფერმერთა რეგიონალურ საინფორმაციო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე განიხილოს შემდეგი საკითხები:

1. ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამელიორაციო სამუშაოების მოცულობის გაზრდისა და შიდა სამეურნეო არხების (ორნატების) ამოწმენდის საკითხის მოგვარება მოსახლეობის თანამონაწილეობით.
2. ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფოს თანამონაწილეობით მეციტრუსეთა კოოპერატივის შექმნა.
3. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისის" ბაზაზე აგრარული მიმართულებებით დამატებითი სპეციალობების გახსნა.
4. სიმინდის მარცვლის გადამუშავებით მიღებული პროდუქტების ტექნიკური რეგლამენტის მიღება,
5. ეთხოვოს საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებს მუნიციპალიტეტებში პრიორიტეტული დარგების მიხედვით გამოაცხადონ კონკურსი სადემონსტრაციო მეურნეობის მოსაწყობად.

სხდომაზე განხილულმა საკითხებმა მონაწილეთა დაინტერესება გამოიწვია და დასმულ საკითხების შესრულებაზე ინფორმაციის გასაჯაროება დაანონსდა.

***ბესიკ ნაჭყებია,***
***ხობის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის უფროსი სპეციალისტი.***

დიდი ოჯახის ისტორია

# ცხოვრების წესით სამაგალითონი



სიცოცხლე უფლისგან ბოძებული სასწაულია, ყოველივე დაბადებით იწყება. დაბადება გაზაფხულია-ქვეყნაზე მოსვლით დაწყებული, იმთავითვე სიცოცხლის ნადიმი სამყაროში მყოფობით, სადაც ადამიანი ცხოვრების მანძილზე შრომობს, ეძიებს, ჰპოვებს და სტუმრობის ჟამს ყველაფერთან ერთად, ქვეცნობიერად ემზადება ზეციურ ქვეყანაში გადასაბარგებლად, ანუ უფლის წინაშე წარსადგენად. აი, იქ კი უფალმან უწყის ყოველივე....

დაბა ხობის სინამდვილეში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ძალიან ბევრი კარგი ადამიანი, შემდგარი ოჯახები, რომლებმაც თავიანთი ცხოვრების წესით, ხონჩით დაგვიტოვეს დიდი სიყვარული, რითაც ერთგვარად სიცოცხლის ხიბლი შეჰმატეს კოლხეთის ულამაზეს დაბა ხობს. ხობელობა მათთვის იყო ტრადიციები ანუ დიდი კოლხობა. მათი ცხოვრების წესს მუდამ ლაიტმოტივად გასდევდა ოჯახის, მეზობლის, ნათესავის, მტერ-მოყვარის გულთბილი სიყვარული და სახელმწიფოებრივი აზროვნება–ხედვა, გაჯერებული ყოველივე მშობლიურის დაფასებით.

ცხოვრების წესით იყვნენ სამაგალითონი, ალმატებულნი ერთურთში საინტერესო დამოკიდებულება ჰქონდათ დაბა ხობის ცენტრალურ „პროსპექტზე" მცხოვრებლებს, ისინი ჭირში თუ ლხინში ერთმანეთისთვის საიმედონი იყვნენ. მათი გვარსახელებია: **მიხეილ, აპალონ, ანტუშა თათარიშვილები, ჟორჟი ქანთარია, ვენე სორდია, ოლია უნგიაძე, ამბროს დგებუაძე, ალანიები, ლომაიები, მაიდანიკები, ოლია არახამია, ვარდო თათარიშვილი, ბუხუ იოსავა** და სხვები....

ჩემმა ბავშვობამ ამ მეზობლებს შემადუღაბა, რამეთუ მათთან მაკავშირებდა ჩემი უსაყვარლესი დეიდები–ცუცა ხვიჩია და ტატიანა გვაზავა. კარგად მახსოვს ხობის ინტელიგენციისა და მშრომელთა კლასის წარმომადგენლების ერთიანობა, ურთიერთობები. სწორედ ასეთმა გარემოცვამ დიდი წვლილი შეიტანა ჩემს ხობელობაში. გვინდა უფროს თაობას შევახსენო და ახალგაზრდებს მოვუყვე აზნაურისა და დიდი ვაჭრის გახუ(გიორგი) ჯარუს ძე ხვიჩიასა და ღარიბი თავადის ქალიშვილის–ოლია ალექსის ასულ ფულარიას ოჯახის შესახებ.

ხობის ცენტრში, მე-20 საუკუნის 50-იან წლებში აგებული რაიონული საავადმყოფოს შენობის წინ იდგა (2013 წლამდე) ორნამენტიანი კოლხური რიკულებით დამშვენებული 11-ოთახიანი, დამხმარე ნაგებობებით მწვანეში ჩაფლული–ოდა სახლი, რომელიც თითქმის ორ საუკუნეს ითვლიდა. 1968-1970-იან წლებში, საქართველოს ტელევიზიის ოქროს ფონდშია აღბეჭდილი და დაცული სახლი, რომელიც ეკუთვნოდა შთამომავლობით აზნაურსა და დიდ ვაჭარს–გახუ ხვიჩიას. გარდა სახლისა, მფლობელობაში ჰქონდა სხვადასხვა მაღაზიები, იარმაკები... მას შორეული უცხოეთიდან (თურქეთი, ირანი, იტალია, ინგლისი) ზღვით შემოჰქონდა ათასგვარი საქონელი, საკერავი მანქანები თუ ფართლეული, ძეხვეული თუ სასმელები.

მეგრული სილამაზის ახოვანი ვაჟკაცი– გახუ(გიორგი) ჯარუს ძე ხვიჩია ქალაქ ბათუმში მცხოვრები ცნობილი ალექსი ფაჩულიას მეგობარი იყო, რამეთუ ისინი ორივენი მეორე გილდის ვაჭრები იყვნენ. ენაწყლიანი მოსაუბრე, ყოფილი გიმნაზიელი ფლობდა რუსულ და თურქულ ენებს, პოლიტიკურ საკითხებშიც კარგად ერკვეოდა, ბუნებით კეთილს არასდროს განელებია სურვილი გაჭირვებულთა დახმარებისთვის.

მდიდარი ვაჭარი ყველასთვის სასურველი სასიძო იყო, იგი მოხიბლულა ოლია ფულარიას სილამაზით და ალექსი ფულარიას ოჯახისთვის ქალიშვილის ხელი უთხოვია. მშობლებს სიღარიბისთვის არ ემეტებოდათ თავიანთი შვილი და გადაუწყვეტიათ 16 წლის ოლიჩკა მასზე 20 წლით უფროსისთვის მიეთხოვებინათ, რომელმაც ულამაზეს მეუღლეს სავსებით უზრუნველყოფილი მატერიალური პირობები შეუქმნა და პიროვნული დიდსულოვანებით დიდი სიყვარულის ღირსი გახადა. ოლია ფულარიამ გახუ ხვიჩიას ხუთი შვილი აჩუქა. ოლია იყო დიდი ოჯახის „პატარა დიასახლისი", უაღრესად მოყვარული, მზრუნველი, გამრჯე და სამაგალითო დედა. მას კარგად ემარჯვებოდა ჭრა-კერვა...

მაშინდელი მაზრის თავადაზნაურთა შვილები მეტწილად გაძიძავებულნი იყვნენ. ისინი მორდუებთან იზრდებოდნენ. ასე იყო ოლია ფულარიას შემთხვევაშიც. ის იზრდებოდა სოფელ მუხურში(ჩხოროწყუ) ციკოია ცირდავას ოჯახში. ის იხსნებდა ხოლმე: „ჩემი მორდუები ფაქიზად მეპყრობოდნენ. მე, პატარა ბავშვი მათ ჩემს ჭკუაზე ვატარებდი". მუხურის გახსენებისას ღიმილი და კურცხალი ერთიანად დაეფინებოდა სახეზე. ის ჩემი ბებიის–ფედოსია კუპრეიშვილის დეიდაშვილი იყო. ერთხელ ოლია ბებიამ წაგვიკითხა ლექსად აკრეფილი შემდეგი სიტყვები:

***„ჩქიმ მუხური, მუგიწუა, სირექ ჩქიმო დიდა ჯგუა, სკან წყარქ დო სკან გვალეფქ, მა მობრდესი ცირდებ წკუმა, ჩქიმ მუხური, მუხურჩელა, სკან მასქურ რე ჩქიმო ბირა, ჰამო ნინათ გიგოძახანქ, ჩქიმ მუხური მუხურჩქელა"...***

ოლია ბებიას იქაური ხალხი და ბუნება სიო მასქურით მთელ ქყეყანას ერჩივნა. განათლებული ქალბატონი თავისუფალ დროს წიგნების კითხვას უთმობდა, სწორედ აღნიშნულმა განაპირობა შვილების განათლებაზე ზრუნვა. უფროსი ვაჟი–ბესარიონ ხვიჩია გახლდათ აფხაზეთის ტყვარჩელის შახტის გენერალური დირექტორი, ნეონილა ხვიჩია– პროფესიით აგრონომი გახლდათ, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროში სათესლე-სანერგე განყოფილების მთავარ აგრონომად მუშაობდა. ნეონილას მეუღლე ვალერიან ბაძალუა მუშაობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროში. ვახტანგ ხვიჩია კი შინაგან საქმეთა სამინისტროში, სისხლის სამართლის მთავარი გამომძიებლის პოსტს იკავებდა.

ვერიკო ხვიჩია–მცირეწლოვანი გარდაიცვალა. დიდი ოჯახის მე-5 შვილი ვალენტინა-ცუცა ხვიჩია ოჯახს მოევლინა მე-18 წელს. სრულიად განებივრებულმა ნებიერამ სწავლა დედაქალაქში განაგრძო. მან წარჩინებით დაამთავრა საფერშლო ტექნიკუმი. თბილისში ცხოვრების პერიოდში, მასზე ზრუნავდნენ უფროსი და-ძმები. ადრე დაქვრივებული, ოლია ბებია შვილებს მეგზურად დაუდგა. ის იყო მყარი საყრდენი მისი ულამაზესი შვილებისა და შვილებისგანაც დაფასებული დედა, რომელიც შვილების სიკვდილმა დაჯაბნა. ცუცა დეიდამ კი, თავისთავზე აიღო ოჯახზე და ძმისშვილებზე სრული პასუხისმგებლობა და ხობში გახუ ხვიჩიას ოჯახს „შინი" არ დაუკარგა.

თბილისში ყოფნის პერიოდში, ბუნებრივი სილამაზისა და ნიჭის წყალობით მას არაერთხელ ჰქონია მიწვევა დიდი რეჟისორებისგან, როგორებიც იყვნენ მიხეილ ჭიაურელი და ნიკოლოზ შენგელაია. მათ არაერთხელ უთხოვიათ თბილისში დარჩენა ცუცა დეიდასთვის, თუმცა მან სამსახიობო კარიერას შინ, ხობში დარჩენა ამჯობინა.

გაგიკვირდებათ და სილამაზით გამორჩეული ცუცა ხვიჩია კარგი მონარდეც იყო. ამავე დროს დიდი გულის პატრონი სულით ხორცამდე უპატიოსნესი, რომლისაგან შორს იყო შური და ბოღმა, მუდამ სხვაზე მზრუნველი, ნათესავთა დამხმარე, ობოლთა დამპურებელი და გულში ჩამხუტებელი. მას ძმისშვილებზე ამოსდიოდა მზე, დიდ ოჯახში აღზრდილი არც შეიძლებოდა სხვაგვარი ყოფილიყო.

ხობის სან-ეპიდ სადგური მისთვის იყო ყველაფერი. მას უყვარდა ადამიანები, კოლეგები. ის ხობის ჯანმრთელობის დარგის წარმატებული მუშაკი გახლდათ. როგორც იტყოდა ხოლმე, „მეც ცოტაოდენი წვლილი მიმიძღვის ვასო მარდალეიშვილის, ოთარ ნოვიკოვის, ვოვა ქანთარიას დიდი შრომის შევსებაშიო. სწორედ ამ ადამიანებთან ერთად ვზრუნავდი რაიონის მცხოვრებთა ჯანმრთელობის დაცვისთვისო".

მან არაერთი მადლობა დაიმსახურა პირნათელი მრავალწლიანი მსახურებისთვის. თამამად შეიძლება ითქვას, ის ხობის კოლორიტი იყო, თავადაზნაური ოჯახის უკანასკნელი მოხიკანი. მას ცხოვრებამ გული ბევრჯერ ატკინა. მიუხედავად ამისა, ის დადიოდა ამაყი და ყველას მოყვარული.

და მინდა ვთქვა, თუ დაბადება გაზაფხულია–ცხოვრება ეკალ -ბარდიანი გზებია. ულამაზესმა ცუცა ხვიჩიამ ოჯახზე სიკვდილის გამარჯვებით, ანუ დედმამიშვილების, მშობლების გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი განიცადა. ის იყო შვილი და ამავე დროს, შესანიშნავი ნაბოლარა და.

ბავშვობაში უზრუნველად აღზრილი ისე გადაეგო ამა სოფლიდან, რომ გულით დაატარებდა დიდ ტკივილს, მას ოჯახი არ შეუქმნია, მაგრამ ის იყო კარგი დედა და ბებია თავისი მონაგარისა. დიდი ოჯახის– გახუ ხვიჩიას უმცროსი შვილი, რომლის სიყვარულსაც დღემდე გულით ვატარებ, ლოცვებში მუდმივად მოვიხსენიებ, მისი ჩემდამი ფასდაუდებლად გაწეული ამაგის სანაცვლოდ...

უფალმა ნათელში გამყოფოთ სახელოვანი ოჯახი...

**ნანა ჯალაღონია.**

სულთათანა

## კლავდია (კლარა) კილასონია-ბერიშვილი



წუთისოფლის კანონებს ვერავინ გაექცევა, ამქვეყნიდან ახლობლის წასვლით გამოწვეულ ტკივილს ვერაფერი ანელებს, უბრალოდ სხვისი სულის გასამხნევებლად (რადგან სიკვდილი ყველას ხვედრია) სამუდამოდ ჩვენთვის ვიტოვებთ მას. წლებია ერთმანეთს შევესისხლხორცეთ, ერთმანეთის ტკივილითა და სიხარულით ცხოვრება გავითავისეთ. ამიტომაც გვტკივა კლავდია (კლარა) კილასონიას გარდაცვალება. ნეტარხსენებული კატუშა და ვალიკო კილასონიების ოჯახში ჩამოკრულმა მწუხრის ზარმა გულისგულში გაგვიარა.

ანზორ ბერიშვილის ბედნიერ, დიდი სიყვარულით შექმნილ ოჯახს დედაბოძი წაექცა... ორი ნიჭიერი, განათლებული ვაჟების გიგა და გოგა ბერიშვილების წიგნიერი დედა გაეცალა მძიმე სენისგან გაწამებულ ცხოვრებას.

ჩვენ, რედაქციელებს და მისი ოჯახის მეგობრებს კი უდიდესი ტკივილი დაგვიტოვა. დიდი გულისტკივილით ვუსამძიმრებთ ჩვენს კოლეგას და სულისმიერ მეგობარს ნანი კილასონიას ოჯახს ამ უდიდესი ტკივილის გამო.

უფალს ვავედრებთ კლარა კილასონიას და ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული.

***მერი ლაგვილავა, ჯულიეტა ლატარია, ნაირა ბერაია, ბორის ბერაია, ბეჟან ნადარაია, ფრიდონ ანთია.***

---

ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნუნუ, ნანი, მაყვალა, დოდო და რამაზ კილასონიებს დის

**კლავდია (კლარა) კილასონია-ბერიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

გურამ კვიკვინია და საშა არჩაია ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს ნუნუ, ნანი, დოდო, მაყვალა და რამაზ კილასონიებს დის

**კლავდია (კლარა) კილასონია-ბერიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

## დ ე დ ი

**ეკა მარშანიას გარდაცვალებიდან 15 წელი გავიდა...**



ალბათ საოცარი იქნებოდა
მენახა შევერცხლილი თმები,
თვალის კუთხეებში ნაოჭებად
წლები დაგტყობოდა დედი...
ალბათ, ბედნიერი იქნებოდი,
თვალი გადაგევლო ჩვენთვის,
მხრებს შემოაცმევდი სიამაყეს,
გულს ამოივსებდი, დედი...
ალბათ, ოქროსფერი შემოდგომის
სათქმელს დაკარგავდი მზეში,
რომ გაგთენებოდა ოქტომბერში
ის მეთოთხმეტე დღეც, დედი...
ალბათ, უფრო რთული
იქნებოდა,
რომ არ მეხილე და ვერ ვთქვი,
დღეს კი ჩემს ბავშვობას
დავესესხე,
ისევ, რომ მენახე დედი...
უკვე მეთექვსმეტედ შემოაღებს
ჩვენს კარს ანგელოზად ღმერთი,
ვხედავ, ჭაღარაც და ნაოჭებიც
წლებად დაგტყობია დედი...

***მზექო ჟვანია***

---

## მაყვალა ლიპარტია



31 ოქტომბერი, მაყვალა, შენი დაბადების დღეა, რომელსაც წელს უშენოდ, ცრემლიანი თვალებით, მონატრებითა და ტკივილით ვხვდებით. ერთი წელი დასრულდა რაც დაგვტოვე და წახვედი ისე წყნარად, როგორი ბუნებითაც იყავი. დიდი წუხილი და სევდა ახლავს შენს გახსენებას, წახვედი და დაგვიტოვე გაუნელებელი ტკივილი და მონატრება.

მაყვალა ლიპარტია!–ეს სახელი და გვარი ყოველთვის დარჩება, როგორც ალალმართალი, მაღალი ზნეობის და ნათელი გონების მატარებელი, ოჯახზე და მეგობრებზე შეყვარებული, წყნარი, სხვისი ჭირისა და ლხინის თანაზიარი.... ყოველთვის ცდილობდი ყველასთვის გაგენაწილებინა შენი სითბო, სიკეთე და სიყვარული.

ჩვენ ყოველთვის ვილოცებთ შენი სულისთვის! ნათელში იყოს შენი სული!

**ხობის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლები.**

## გილოცავთ!

# ხობელი მოსწავლის დიდი წარმატება



ქალაქ ხობის 1 საჯარო სკოლის მოსწავლე, მერაბ დოლბაიამ ევროპის ახალგაზრდულ ამბასადორიალში მიიღო მონაწილეობა. ევროპის ახალგაზრდული ამბასადორიალის მიზანია ევროკავშირის პოლიტიკის პრიორიტეტების გაცნობა ახალგაზრდა დიპლომატებისთვის და ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური გამოწვევების შესახებ ევროპარლამენტარებისა და ევროპელი ექსპერტების ლექციებზე დასწრება.

პროექტის მონაწილეები ვიზიტით ეწვივნენ საერთაშორისო უწყებებს ჰააგაში და ევროპის პარლამენტს ლუქსემბურგში.

მერაბ დოლბაიამ ევროპის აკადემიური ცენტრის პროექტში–„ევროპარლამენტის საერთაშორისო მოდელირება 2018“ ამბასადორიალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

ხობელ მოსწავლეს გადაეცა ევროპარლამენტის საერთაშორისო სერტიფიკატი.

# „ცოცხალი წიგნები“ ხობში



ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლის მცირე დარბაზში გაიმართა შეხვედრა თანამედროვე ქართველ მწერლებთან : ნინო ქოქოსაძემ, ირმა ბერიძემ, ირაკლი შამათავამ, ლევან ლორიამ და ინა არჩუაშვილმა ლიტერატურის მოყვარულებს თავიანთი შემოქმედება გააცნეს. შეხვედრას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა ესწრებოდა.

„ცოცხალი წიგნები“ „პოეზიის მეგობართა კლუბის“ პროექტია, რომელიც მეოთხე წელია ხორციელდება. პროექტი გულისხმობს მკითხველებთან შეხვედრას, პოეზიის საღამოების გამართვას და თანამედროვე ქართული მწერლობის აქტუალურ საკითხებზე საუბარს.

## ჩვენ და გარემო

# „ჩემი უფლებაა ვიცხოვრო სუფთა გარემოში“

ნაგავის შეგროვებასა და მისი დასახლებული პუნქტებიდან გატანას დიდი ხნის ისტორია გააჩნია. ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ ამ საქმის პიონერები იყვნენ ძველი ბერძნები, რომლებმაც ჯერ კიდევ 4,5 ათასი წლის წინ მიიღეს ნაგავთან დაკავშირებით სპეციალური კანონი. შეიძლება გავიხსენოთ ასევე ნაგავსაყრელი იერუსალიმიდან, სადაც დაგროვებული დიდი რაოდენობის ნაგავს ქალაქის მოსახლეობა ცეცხლს უკიდებდა. ასეთი „კოლონები“ შორიდანაც კარგად ჩანდა და სწორედ ამიტომ ამ ადგილს ხალხმა ცეცხლოვანი გენია უწოდა. ასევე შემორჩა მითოლოგიაში ჰერაკლეს მიერ ავგიას თავლების გაწმენდა.

XV საუკუნის დასაწყისში, ევროპის მთელ ტერიტორიაზე უმძიმესი მდგომარეობა შეიქმნა. დიდი თუ პატარა ქალაქების მიმდებარე ტერიტორიები ნაგვით იყო სავსე. მაგალითად პარიზში ნაგვის გროვები ქალაქის გალავანზე უფრო მაღლა იყო, რის გამოც ქალაქში შავი ჭირის ეპიდემია გავრცელდა, რომელმაც დაახლოებით 140 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტეს ევროპის მმართველებმა ნაგვის ქალაქებიდან გატანა. შექმნეს სპეციალური სამსახურები და მათ კანონით დააკისრეს ქუჩებისა და სასმელი წყლის სისუფთავეზე პასუხისმგებლობა. მათვე შემოიღეს ჯარიმის პირველი ფორმები.

ნედლეულის მეორად გადამუშავებაზე ყველაზე ძველი დოკუმენტური ისტორული მასალები (ჯერ კიდევ წინა ათასწლეულის დასაწყისში) მოიპოვება იაპონიაში, ევროპამ ამ საკითხს ყურადღება მხოლოდ 1630 წელს მიაქცია და ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ფუნქციონირება დაიწყო ქაღალდისა და ქსოვილების გადამამუშავებელმა პირველმა ქარხანამ.

ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წინ ითვლებოდა, რომ ნარჩენი არის ყველაფერი ის, რასაც თითოეული ჩვენთაგანი აღარ ვიყენებთ ყოფა-ცხოვრებაში, აღარ გვჭირდება, აღარ ვარგა გამოსაყენებლად და რასაც, უბრალოდ ვყრით ან ვიშორებთ თავიდან. აბსოლუტურად უსარგებლოდ ითვლებოდა ასევე მრეწველობის სხვადასხვა დარგის სამშენებლო, სატრანსპორტო და სხვა ტიპის ნარჩენები, რომლებიც იმავდროულად სულ უფრო და უფრო მეტ



ტერიტორიებს მოითხოვენ განსათავსებლად და ეს ყველაფერი მოიხსენიებოდა ერთი სიტყვით–ნაგავი!!!

მაგრამ დრომ და ტექნოლოგიების განვითარებამ აჩვენა, რომ ეს ასე არ არის. საზოგადოება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ერთი რომელიმე ადამიანისთვის უსარგებლო ნივთი სხვისთვის შეიძლება საჭირო გამოდგეს, ხოლო მუნიციპალური, საწარმოო, სამშენებლო თუ სხვა სახის ნარჩენების უმრავლესობა შესაძლებელია გადამუშავდეს და სასარგებლოდ იქნას გამოყენებული.

ნარჩენების მართვა ეს არის ნარჩენების გონივრული გამოყენება. ანუ მარტივად, რომ ვთქვათ, რაც უფრო მაქსიმალურად იყენებს ქვეყანა თავის ნარჩენებს, იმდენად გონიერ და მოტივირებულ საზოგადოებასთან გვაქვს საქმე. ანუ, ნარჩენების მართვა ეს არის რესურსების განახლებისა და ხელმეორედ გამოყენების განსაზღვრული პრაქტიკა, რომელიც კონცენტრირებულია ბუნებრივი რესურსების მოხმარების რაოდენობის შემცირებაზე.



ნარჩენების იერარქიის მოდელი შედგება 5 ძირითადი კომპონენტისგან, ნარჩენების შემცირება, მათი ხელახალი გამოყენება, გადამუშავება, ნარჩენის გარდაქმნა ენერგიად და განთავსება. ამათგან პირველი სამი 3 კგ-ის ინიციატივის სახელითაა ცნობილი (კუვგსუ–შემცირება, კუგთუ–ხელახალი გამოყენება, კუნსდუ–რეციკლირება/გადამუშავება) რაც შეეხება ნარჩენის გარდაქმნას ენერგიად–მას იყენებენ სხვადასხვა დანიშნულებით (გათბობა, განათება...) იერარქიის მეხუთე კომპონენტი გულისხმობს ნარჩენების გამოუსადეგარი ნაწილის განთავსებას ნაგავსაყრელზე.

### რა ხდება საქართველოში?

დიდ ქალაქებში მეტნაკლებად მოგვარებულია მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ნაგავსაყრელებზე, ამ მხრივ სოფლებში ისევ მძიმე მდგომარეობაა. სოფლის მოსახლეობა, ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით მართალია ნაკლებ ნარჩენს წარმოქმნის (მაგ: საკვების ნარჩენებს იყენებს შინაური პირუტყვისთვის გამოსაკვებად, ნალექს იყენებს სასასუქედ და ა. შ.) მაგრამ, იმ მცირედი ნარჩენის შესაბამის ტერიტორიაზე განთავსებაც კი მოუგვარებელია... ამიტომ, ეს ნარჩენი საბოლოოდ სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ძირითადად კი ღელეებში, ხევებსა და მდინარეებში აღმოჩნდება და მცირე „უკონტროლო ნაგავსაყრელებს“ წარმოქმნის.“

### რა ხდება ხობში?

საქართველოში შექმნილია გარემოსდაცვითი რუკა, სადაც ხობი დატანილია როგორც მწვანე ქალაქი ანუ ის სუფთა გაგებით მოეკიდა პროექტის: დავასუფთაოთ საქართველოს“ III ფაზაში გადასვლას, მოთხოვნილიქნა ცენტრალური ბიუჯეტიდან დამატებითი თანხა პოლიეთილენის პარკების ასაწნეხი აპარატის და შიდა სანაგვე ურნების შესაძენად. გაზრდილია ნაგვის ურნების რაოდენობა, ხდება ქალაქის ყოველდღიური დასუფთავება და ნაგვის გადაზიდვა ნაგავსაყრელზე. სოფლებში კი ისევ არახელსაყრელი მდგომარეობაა.

2010 წლიდან საქართველოში ხორციელდება პროექტი: „დავასუფთაოთ საქართველოს“ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი მართვის გაუმჯობესების პროცესში“.

უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის დაწყებისთანავე მოსახლეობა აქტიურად ჩაერთო დაგეგმილ დასუფთავების აქციებში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მოსახლეობაში საგრძნობლად იმატა სუფთა გარემოში ცხოვრების მოთხოვნილებამ.

სახელმწიფოში ნებისმიერი პრობლემის დარეგულირება შეუძლებელია მოსახლეობის ჩართულობის გარეშე. კარგად ინფორმირებულ და დაინტერესებულ საზოგადოებას, შეუძლია ეფექტურად იმოქმედოს, როგორც მოსახლეობის, ასევე სახელმწიფო მოხელეთა მენტალიტეტზე.

„ჩემი უფლებაა ვიცხოვრო სუფთა გარემოში,

ჩემი მოვალეობაა დავიცვათ გარემო.“

***მედეა ქობალია, პროექტ „დავასუფთაოთ საქართველოს“ წარმომადგენელი ხობში.***

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ- საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, როზეტა შულაია, ბორის ბერაია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია. კომპიუტერული უზრუნველყოფა– ჯულიეტა ლატარია.
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 0 (414) 22-21-31; 599-50-40-57; 577 21-41-44.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი№20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.